პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 69 (771) | კვირა, 29 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

ტრადიციული დღესასწაული

ყოველწლიურად აგვისტოში მთელი ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი დღესასწაულობენ მეშახტის საკავშირო დღეს. თავიანთ წლევანდელ დღესასწაულს, რომელიც დღეს აღინიშნება, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან საბჭოთა მეშახტეები. მთელ ხალხთან ერთად ისინი ენერგიის დაუზოგავად იღვწიან ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური განმტკიცებისათვის.

სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვით გარემოსილი საბჭოთა მეშახტეები შრომის არნახულ მაგალითებს აჩვენებენ. მათში განსაკუთრებული აღმავლობა გამოიწვია მეშახტის საკავშირო დღის მოახლოებამ, რომლის აღსანიშნავად ათასობით მუშა სტახანოვურ ვახტზე დადგა, ვალდებულება აილო საბჭოთა სამშობლოსათვის მიეცა რაც შეიძლება მეტი ქვანახშირი.

გმირულ შრომასთან ერთად, საბჭოთა მეშახტეებს საშუალება ეძლევათ დაისვენონ, გაიკაჟონ სხეული, კულტურულად გაერთონ. მათი გაჯანსაღებისათვის მთავრობა მილიონობით მანეთს ხარჯავს. შენდება სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე. მეშახტეები უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი ბინებით, საკუთარი სახლებით, მათთვის ფართოდაა ღია სტადიონების, სპორტული მოედნების, კლუბების, ბიბლიოთეკების კარი.

ქვანახშირის მრეწველობის სტახანოველთა და მოწინავეთა რიგებში არიან მეშახტე სპორტსმენები. ისინი თავდადებით და ნაყოფიერად შრომობენ სანგრევებში, შახტმშენებლობებზე, გამაუხვებელ ქარხნებში იმიტომ, რომ ფიზკულტურა და სპორტი მთამადნელებს ეხმარება ენერგიის აღდგენაში, ხდის მათ მხნესა და დაბრკოლებებისადმი შეუდრეკელს.

ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის საწარმოებში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ქართველი მეშახტეები. რესპუბლიკა ამაყობს თავისი მოწინავე ადამიანებითა და შახტებით, რომლებიც დავალებებს სისტემატურად და დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ქვანახშირის მოპოვებაში წარმატებებთან ერთად, სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ნაკლოვანებებია მეშახტეთა ფიზიკური გაჯანსაღების მნიშვნელოვან საქმეში. რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვას ემსახურება სპორტული საზოგადოება „შახტიორის“ საბჭო. მაგრამ ამ ორგანიზაციამ, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ჩამოყალიბებული, ვერ უზრუნველყო მეშახტეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლა.

ჩვენი რედაქცია ხშირად იღებს მეშახტე სპორტსმენთა წერილებს ახალციხიდან, ტყიბულიდან, ტყვარჩელიდან. ამხანაგები გვწერენ, რომ მიუხედავად სპორტის მოყვარულთა სიმრავლისა, ფიზკულტურულ საქმიანობაში მუშა ახალგაზრდების ჩაბმას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციები. არ ეწყობა მასობრივი სპორტული შეჯიბრებები, ამხანაგური შეხვედრები, არ არის კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები და სხვ.

ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩება ახალციხე. აქ წლების განმავლობაში არ სრულდება ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა, რადგან მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. „შახტიორის“ ადგილობრივი საბჭო თავს იმით ვერ გაიმართლებს, თითქოს ახალციხელ მეშახტეებს არ უყვარდეთ ფიზკულტურა და სპორტი. პირიქით, ასობით მუშას, ინჟინერს, მოსამსახურეს სურვილი აქვს იმეცადინოს სპორტულ სექციებში, მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებებში, ჩააბაროს ნორმები მშთ ნიშანზე, თანრიგზე. მაგრამ მათ მისწრაფებას უყურადღებოდ ტოვებენ.

ჩვენი მეშახტე უნდა იყოს ფიზიკურად ძლიერი, რათა მან ენერგიული შრომით მეტი სარგებლობა მოუტანოს დედასამშობლოს, ყოველდღიურად გადაჭარბებით შეასრულოს საწარმოო გეგმა. ამიტომ ჩვენ მთელი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მეშახტეთა ფიზიკური გაჯანსაღების საქმეს. ადგილებზე პრაქტიკულად დავეხმაროთ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს, შევუქმნათ მათ მუშაობის ნორმალური პირობები. სპორტული ბაზის გარეშე შეუძლებელია სპორტული მუშაობის ჩატარება. ამიტომ „შახტიორის“ ადგილობრივი ორგანიზაციების ვალია მეტი ყურადღება დაუთმონ ამ საქმეს. ყოველ შახტთან უნდა მოვაწყოთ სპორტული მოედნები, საცურაო აუზი, რომლებზეც თავისუფალ საათებში გაიმართება საინტერესო ღონისძიებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი მეშახტე იყოს ფიზკულტურელი, სისტემატურად იმაღლებდეს თანრიგს, აბარებდეს მშთ ნორმატივებს. ასეთია მეშახტეთა ფიზკულტურული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა საზოგადოება „სპარტაკში“ ტანვარჯიშის, მძლეოსნობისა და წყალჯომარდობის სპორტის განვითარების შესახებ. შემოწმებით გამოირკვა, რომ გასულ წელს არ შესრულდა სპორტის აღნიშნულ სახეობებში თანრიგოსნების მომზადების წლიური გეგმა. ცენტრალურ სპორტულ სექციებში (ტანვარჯიშის გარდა) მასობრივად არ არიან ჩაბმული ახალგაზრდები. მხატვრული ტანვარჯიში, წყალბურთი, წყალში ხტომა აქ კულტივირებული არ არის. ამის მიზეზია, რომ „სპარტაკი“ აღნიშნულ სახეობებში საუწყებათაშორისო შეჯიბრებაში არ მონაწილეობს, ხოლო თუ მონაწილეობს, უკანასკნელ ადგილს იკავებს. ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის გუნდის სხვა საზოგადოებების სპორტსმენებით დაკომპლექტების ფაქტს, რაც გამოვლინდა „სპარტაკის“ საკავშირო სპარტაკიადაზე.

კომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს „სპარტაკში“ მძლეოსნობის, ტანვარჯიშისა და წყალჯომარდობის განვითარებას.

კომიტეტმა წინადადება მისცა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობას (თავმჯდომარე ო. აბუაშვილი), თუ მოკლე დროში არ გარდაიქმნება მუშაობა, მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

«ნეიფილდის» სტადიონზე

ევროპის პირველობა მძლეოსნობაში

ბერნში ევროპის პირველობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა 28 ქვეყნის სპორტსმენთა დელეგაცია. ჩემპიონატის პირველ დღეს „ნეიფილდის“ სტადიონზე სტარტი მიეცა მარათონულ რბენას. სტარტიდან წინ წასულნი გრიშაევი, ფილინი (ორივე სსრკ) და ფინელები კარვონენი და პუოლაკა თითქმის მთელ დისტანციაზე ლიდერთა ჯგუფში იყვნენ. უკანასკნელ კილომეტრზე წინ გაიჭრა გრიშაევი, მაგრამ მას მალე დაეწიენ ფილინი და კარვონენი და შემდეგ გაუსწრეს კიდეც. სტადიონის მახლობლად ფილინი წინ გაიჭრა და მრავალრიცხოვანი მაყურებლის ტაშის ქვეშ პირველი შევიდა სტადიონზე. მაგრამ მოხდა ის, რაც ძალიან იშვიათად ხდება შეჯიბრებაზე. მსაჯებმა ვერ დააზუსტეს მარათონის დისტანცია და ფილინი ფინიშისაკენ სხვა გზით გაემართა. როდესაც სტადიონზე შემოვიდნენ გრიშაევი და კარვონენი, მსაჯთა კოლეგიამ ფილინი დააბრუნა უკან და ამრიგად, მარათონში ფაქტიურად გამარჯვებული ფინიშთან მესამე მივიდა. კარვონენმა დაამთავრა დისტანცია 2 საათში, 24 წუთში და 51,6 წამში. ოთხი წამით ჩამორჩა მას გრიშაევი. გვიან საღამოთი შეჯიბრების მთავარმა ჟიურიმ აღიარა, რომ ფილინი არის ნამდვილი გამარჯვებული და მხოლოდ მსაჯთა კოლეგიის უწესრიგობისა და მოუმზადებლობის გამო მან დაკარგა ევროპის ჩემპიონის სახელი. მიუხედავად ამისა ჟიურიმ გადაწყვიტა ფილინს, ისევე როგორც კარვონენს, გადასცეს ოქროს მედალი. გრიშაევმა მიიღო ვერცხლის მედალი.

შეჯიბრებაში კარგად გამოდის ზატოპეკების ოჯახი. დღის პირველ ნახევარში დ. ზატოპეკოვამ გაიმარჯვა შუბის ტყორცნაში. უნდა აღინიშნოს, რომ მან ხუთჯერ ტყორცნა შუბი 50 მეტრზე შორს. საუკეთესო შედეგი კი 52 მეტრი და 91 სმ იყო. მეორე ადგილზე გამოვიდა როლაიდი (სსრკ)—49,54 სმ. მესამე ადგილი წილად ხვდა მსოფლიო რეკორდსმენს ნ. კონიაევას 49 მ 49 სმ. გვიან ღამე, მეორე ოქროს მედალი შემატა სახელოვან სპორტსმენთა ოჯახს. ემილ ზატოპეკმა გაიმარჯვა 10.000 მეტრზე რბენაში.

სამხტომში უძლიერესი იყო შჩერბაკოვი—15,90 მეტრი, მეორე ადგილი დაიკავა ნორმანმა (შვეცია) — 15,17 მ. 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ჩემპიონის სახელი წილად ხვდა დოლეჟალს (ჩეხოსლოვაკია). მან დისტანცია დაფარა 45:01,8.

როგორც მოსალოდნელი იყო ქალთა შორის ტყორცნებში ბრძოლა ძირითადად საბჭოთა სპორტსმენებს შორის გაიმართა. ბირთვის კვრაში ევროპის ჩემპიონი გახდა გ. ზიბინა — 15 მ 65 სმ. ბადროს ტყორცნაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ნ. პონომარიოვას 48,2 მ.

800 მეტრზე რბენა ქალთა შორის მოიგო ნ. ოტკალენკომ.

ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში

დონის-როსტოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა არმიის, „დინამოს“, „სპარტაკის“, „ნაუკის“, „უროჟაის“ და „კალევის“ ნაკრები გუნდები. საბჭოთა არმიამ პირველობაზე გამოიყვანა სამი, ხოლო „დინამომ“ — ორი კოლექტივი.

როგორც წინა წელს ბრძოლა პირველობისათვის ძირითადად საბჭოთა არმიისა და „დინამოს“ წარმომადგენლებს შორის გაიმართა. ჩემპიონატი დაიწყო ცხენოსანთა გამოსვლებით. სპორტსმენებს უნდა დაეძლიათ ხუთი კილომეტრი დაბრკოლებებით. ამ სახეობაში გაიმარჯვა საბჭოთა არმიის წარმომადგენელმა უსოლცევმა, რომელმაც დისტანცია დაფარა — 8:30,0. ჩემპიონატის მეორე დღეს გაიმართა მოფარიკავეთა (შპაგით) შეჯიბრება. აქ გამარჯვება წილად ხვდა არმიელ ი. პოლიაკოვს, რომელმაც 24 მოგება მოიპოვა. ორი სახეობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ იყო საბჭოთა არმიის გუნდი.

პისტოლეტიდან სროლა ხუთჭიდის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და რთული სახეობაა. პირველ ადგილზე გამოვიდა არმიელი რაკიტიანსკი — 188 ქულა. ცურვაში ნებისმიერი სტილით 300 მეტრზე, საუკეთესო შედეგი აჩვენა არმიელმა ჟდანოვმა — 4:03,8. ხუთჭიდის უკანასკნელი სახეობა იყო ოთხ კილომეტრზე რბენა ძლიერ დასერილ მიდამოებში. პირველი ადგილი აქაც საბჭოთა არმიის წარმომადგენელმა მოიპოვა. ელისეევმა ეს მანძილი გაირბინა 13:33,0.

პირად ჩათვლაში საბჭოთა კავშირის 1954 წლის ჩემპიონი გახდა პ. რაკიტიანსკი (საბჭოთა არმია). მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ნოვიკოვი, ხოლო მესამეზე—კ. სალნიკოვი (ორივე „დინამო“). გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება წილად ხვდა „დინამოს“ სპორტსმენთა კოლექტივს.

ტალინის მახლობლად არის შესანიშნავი გზატკეცილი, რომელიც საშუალებას იძლევა მოეწყოს საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებები მოტოსპორტში. აქ ტრადიციად იქცა საკავშირო ჩემპიონატების ჩატარება, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები.

სურათზე: მოტოსპორტში 1954 წლის საკავშირო პირველობის გათამაშების ერთი მომენტი ტალინის გზატკეცილზე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლების ზრუნვა

ჩინეთის ცენტრალურ სახალხო მთავრობასთან არსებულმა სახელმწიფო ადმინისტრაციულმა საბჭომ გამოაქვეყნა დადგენილება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ.

ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ნათქვამია დადგენილებაში, აუცილებელია გამოიყოს სპეციალური დრო ფიზვარჯიშისათვის სამუშაო დღის განმავლობაში ორჯერ: 10 წუთი სამუშაოს დაწყების წინ, 10 წუთი დამთავრებისას.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ წარმოებაში ფიზვარჯიშის ჩატარება ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად ხალხის ჯანმრთელობის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში. ამ ღონისძიებათა ჩატარებას უნდა ხელმძღვანელობდნენ წარმოებათა უფროსები, რომლებიც ვალდებული არიან ფიზვარჯიშში ჩააბან საწარმოთა მთელი კოლექტივი.

ყველა საწარმოში აუცილებელია ჩამოყალიბდეს სპორტული სექციები. ეს მუშაობა კარგად უნდა შეუხამდეს კულტმასობრივ საქმიანობას. სამუშაოს დამთავრების შემდეგ და კვირა დღეები გამოყენებულ უნდა იქნას სპორტული შეჯიბრებებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მშრომელთა ნაყოფიერ დასვენებასა და მათი ფიზიკურად გაკაჟების საქმეს.

რინგზე არიან უძლიერესნი

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში გაიმართა რესპუბლიკის პირველობა კრივში. 89 სპორტსმენი ერთმანეთს ეცილებოდა ჩემპიონის სახელს. ამ საინტერესო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა მოკრივეებმა. მათ შორის ორგზის ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის როკმა და ბელეშმა, რომლებიც გავიდნენ ფინალში და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს თავიანთ მოწინააღმდეგეებს. როკმა ნახევარფინალში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონი კროჩაკი, ფინალში შეხვდა კასალუს და თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა. მეორე ფინალისტმა ბელეშმა ნახევარფინალში მოუგო ძლიერ და ტექნიკურ მოკრივეს ტრიპეს და მხოლოდ ფინალში განიცადა დამარცხება. რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ ცერმანი, მაიდლოხი, მეუვლაი, ზახარა, გოლოვინი, კასალი, იანშტა, ნუხი და ტორმა. გუნდურ ჩათვლაში ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვეს არმიელთა კლუბმა „უდამ“ და კლუბმა „რუდა ზვეზდამ“.

საბჭოთა არმიის თასზე

ბულგარეთში დაიწყო ფეხბურთელთა შეჯიბრება საბჭოთა არმიის სახელობის თასზე. წელს გათამაშებაში მონაწილეობენ ქალაქებისა და რაიონების ათასობით გუნდები. მარტო რესპუბლიკის დედაქალაქ სოფიაში საბჭოთა არმიის თასის გათამაშებაში გამოდის 250 გუნდი.

34 მარათონელის მონაწილეობით

1930 წლიდან, გარდა ომის პერიოდისა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დედაქალაქ პრაღის ახლო ეწყობოდა მარათონული რბენა. მიმდინარე წელს სპორტსმენებმა შეჯიბრება დაიწყეს ჩეხოსლოვაკიის არმიის სახელობის შახტში. მარათონის პატივსაცემად მეშახტენი დადგნენ სპეციალურ ვახტზე.

სტარტი მიიღო 34-მა უძლიერესმა სპორტსმენმა. მარათონის დისტანცია მეტად დასერილი, ძნელი იყო, რადგან მაგარ გზატკეცილზე ხშირად მორბენლებს ხვდებოდათ დაღმართები და აღმართები. 30 კილომეტრის შემდეგ, პრაღის ახლო რუზინთან იწყება ყველაზე დიდი აღმართი და აქ ვლინდება ხოლმე მარათონში გამარჯვებულიც. ასე მოხდა ამ შეჯიბრებაზეც. რუზინის აღმართამდე შეჯიბრებას ლიდერობდა პეხანეკი, მაგრამ აღმართზე მას ბედნარჟიმ გადაუსწრო. პრაღის „სპარტაკის“ სტადიონზე პირველი შემოიჭრა ბედნარჟი. მისი შედეგია 2.38:13,2.

მკითხველთა სიგნალები

შეჯიბრება ასე არ ტარდება

ბახმაროში ყოველწლიურად ტარდება ცხენოსანთა შეჯიბრება, რომელსაც მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრება. მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორები იმდენად უგულოდ და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მას, რომ ხშირად კურიოზს აქვს ადგილი. ასე იყო, მაგალითად, წელს.

შეჯიბრება, რა თქმა უნდა, დაგვიანებით დაიწყო. მთელი შეჯიბრების მანძილზე დამსწრეთათვის ცნობილი არ იყო ცხენოსანთა ვინაობა, თუ ვინ რომელი გუნდის წარმომადგენელი იყო და მაყურებლები ცხენებს იმახსოვრებდნენ ფერისა და სიმაღლის მიხედვით, ხოლო ცხენოსნებს ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ ჩაცმულობით. პროგრამაში იყო ცხენბურთი, მაგრამ იგი ჩატარდა ელემენტარული წესების გარეშე. როცა ბურთი მაყურებლებში გადავარდებოდა, ჩოგნიანი ცხენოსნები ხალხში შეიჭრებოდნენ და თამაში წყდებოდა ბურთის პოვნამდე. იყო ასეთი შემთხვევებიც: მოპირდაპირე კარისაკენ ბურთით მიმავალ მხედარს წინ მიუძღოდა... ცხენოსანი მილიციელი, რომელიც მოთამაშეს გზას უკაფავდა.

გაძნელდა დოღის ჩატარება, ვინაიდან ფინიშის ადგილიდან დაახლოებით 80-100 მეტრის სიგრძეზე მაყურებელთა შორის ისეთი ვიწრო ბილიკი იყო დარჩენილი, რომ ჩამორჩენილს საშუალება არ ჰქონდა გადაესწრო წინმავალისათვის.

საკითხავია, რა აზრი და მიზანი აქვს ასეთი „შეჯიბრების" მოწყობას?

ვ. ჯანუყვაძე,
თ. წუწუნავა

მხოლოდ ქაღალდზე...

ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში სპორტის მოყვარული მრავალი ახალგაზრდა მუშაობს. მეცადინეობისათვის კი არავითარი პირობები არა აქვთ შექმნილი. საქსოვ-სატრიკოტაჟო ფაბრიკაში ოდესღაც ფიზკულტურის ძირეული საბჭო არსებობდა, ჰყავდა თავმჯდომარეც, მაგრამ ეს ოდესღაც იყო. ახლა არავინ ზრუნავს ამაზე, არ მუშაობენ სპორტული სექციები, აქ არც სპორტული მოედნები და ინვენტარი აქვთ.

ი. ბუხაიძე

საქართველოში ცხენოსნობის განვითარებისათვის

ცხენოსნური სპორტის განვითარებისა და ცხენოსანთა წახალისების მიზნით 1940 წელს დაწესებულ იქნა ტრადიციული რესპუბლიკური გათამაშება ცხენოსნობაში. მაშინ გარდამავალი თასი მოიპოვეს გუდაუთის რაიონის ცხენოსნებმა. ომის წლებში შეწყვეტილი ტრადიციული რესპუბლიკური საცხენოსნო შეჯიბრება განახლებულ იქნა 1944 წელს და თასში გამარჯვებული კვლავ გუდაუთის რაიონის გუნდი გამოვიდა. შემდგომ წლებში თასი მოიპოვეს ზუგდიდის, ცხაკაიას და ფოთის ცხენოსნებმა. 1948-49-50-51 წლების მანძილზე პირველობას ინარჩუნებდნენ ზუგდიდელი სპორტსმენები. 1952 წელს თასი დაისაკუთრეს ცხაკაიელებმა, ხოლო შარშან და წელს ზედიზედ გაიმარჯვეს გუდაუთელებმა.

საქართველოს ცხენოსნები არაერთხელ წარმატებით გამოსულან საკავშირო შეჯიბრებებზე, სადაც გამოცდილ სპორტის ოსტატებთან ბრძოლაში ღირსეულად იცავდნენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. 1947 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის „სპარტაკის" ცხენოსანმა ვასილიევამ, ხოლო 1952 წელს გუდაუთელი ზ. აწბა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ჩეხვაში. საკავშირო თასი სპორტულ თამაშობაში — ცხენბურთში სამჯერ ზედიზედ მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა.

ამ მტკიცე ტრადიციებისა და მაღალი წარმატებების მიუხედავად ცხენოსნობის მასობრივი განვითარების საქმე საქართველოში ფრიად არადამაკმაყოფილებელია. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება თუნდაც იმ ციფრის მოყვანა, რომ 1948 წელს საქართველოს ზონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობდა 1.500 ცხენოსანი, ხოლო თასის გათამაშებაში ერთმანეთს ეცილებოდა საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონების 13 გუნდი. 1951 წელს მონაწილეთა რაოდენობამ მოიმატა 2.000-მდე. მაგრამ გასულ წელს ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა მხოლოდ 750 სპორტსმენი, თასის გათამაშებაში კი ხუთი გუნდი. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა წელს: ზონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობდა 500 ცხენოსანი, ხოლო თასის გათამაშებაში მთლიანად დაკომპლექტებული 2 გუნდი (გუდაუთისა და ცხაკაიას რაიონები). მართალია, შეჯიბრებაში მონაწილეობდა სოხუმის რაიონის გუნდი, მაგრამ იგი უფრო ნაკრები კოლექტივის ხასიათს ატარებდა, ვინაიდან მის რიგებში ადგილობრივის გარდა იყვნენ თბილისის „სპარტაკისა" და ზუგდიდის რაიონის ცხენოსნები.

აღსანიშნავია, რომ 1954 წლის პირველობა ორი პროგრამით ჩატარდა — ცხენოსნობის კლასიკურ და ეროვნულ სახეობებში ცალ-ცალკე. ორივე პროგრამაში მონაწილეობდა ექვსი რაიონის გუნდი (გუდაუთა, სოხუმი, ხობი, ცხაკაია, აბაშა და ჩოხატაური). აქედან კლასიკურ სახეობებში გამოვიდა მხოლოდ სამი გუნდი — გუდაუთა, ცხაკაია, სოხუმი.

თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო გასულ წელსაც.

საკითხავია, რაშია საქმე? რატომ მოხდა ისე, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ცხენოსნობამ ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი დაქვეითება განიცადა, როგორც მასობრიობის, ისე სპორტული მაჩვენებლების მიხედვით. ფოთის გუნდს რამდენიმე ცხენისა და სპორტსმენის ავადმყოფობის გამო შეიძლებ ეპატიოს შეჯიბრებაში არ მონაწილეობა, მაგრამ განა კურიოზი არ არის რომ საქართველოს პირველობაზე არ გამოვიდა თასის მრავალგზის მფლობელი ზუგდიდის გუნდი. რომ შეჯიბრებაზე არ ჩანდნენ წალენჯიხის, ქობულეთის, გალის, სამხრეთ ოსეთის, აღმოსავლეთ საქართველოს და სხვა რაიონების გუნდები?

ეგებ ამ რაიონებში მოსახლეობას შეუნელდა ინტერესი სპორტის ამ სახეობისადმი? რა თქმა უნდა არა! ამის დასაბუთებისათვის ის მაგალითიც კმარა, რომ რესპუბლიკური შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ზუგდიდში ჩატარდა რაიონული შეჯიბრება ცხენოსნობაში, რომელსაც უწინდებურად მრავალი მაყურებელი ესწრებოდა და ასპარეზობაც წარმატებით ჩატარდა.

ეგებ რაიონებში არ არის ბაზები საწვრთნელი ვარჯიშებისა და შეჯიბრებათა ჩატარებისათვის? არც ესაა სწორი. საქართველოს ყოველ რაიონულ ცენტრს აქვს თავისუფალი მიწის ნაკვეთი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თუნდაც პრიმიტიული იპოდრომის მოწყობა. მე უკვე არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ბევრ რაიონში უქმად ცდება უკვე მოწყობილი იპოდრომი.

არც სათანადო რაოდენობისა და ხარისხის ცხენების ნაკლებობაზე შეიძლება ლაპარაკი. ცხენოსნური სპორტისათვის შესაფერისი ცხენები ყოველ რაიონს გააჩნია. გასაკვირია, რომ შეჯიბრებებში არასოდეს იღებენ მონაწილეობას დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების ცხენოსნები, თუმცა აქ რამდენიმე ათასი კარგი ცხენი არის. აქვე იმყოფება ყულარის ცხენსაშენი, რომელსაც ჯიშიანი ცხენები გამოჰყავს, მაგრამ შეჯიბრებებში არ მონაწილეობს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში სპორტული ორგანიზაციები და ხელმძღვანელი ორგანოები არ არიან დაინტერესებული ცხენოსნობის განვითარებით. საკმარისია, რომ გარკვეულმა ორგანიზაციებმა მეტი მონდომება გამოიჩინონ ცხენოსნობის აღორძინებისათვის და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ბაზაც, ცხენიც და სპორტსმენიც გამოჩნდება.

ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ცხენოსნური სპორტის მასობრიობამ მოიკლო არის ის, რომ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი, „კოლმეურნე", „უროჟაი" და მათდამი დაქვემდებარებული რაიონული ორგანოები სათანადოდ არ ჰკიდებენ ხელს ამ სასარგებლო საქმეს, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის საცხენოსნო სექცია უმოქმედობს და თავს ვერართმევს მასზე დაკისრებულ საქმეს.

თბილისში იყო ერთადერთი საცხენოსნო ბაზა — სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საცხენოსნო სკოლა. ამჟამად იგი ლიკვიდირებულია. რატომ? სკოლის არსებობის 16 წლის მანძილზე აღიზარდა მრავალი მაღალი თანრიგის ცხენოსანი (კორძაია, ძიძიგური, მანჯავიძე, წვერავა, ცანავა, დგებუაძე, ვასილიევა და სხვ.), აქ მეცადინეობდნენ ქალაქის სასწავლებლებისა და წარმოება-დაწესებულებების წარმომადგენლები, ეწყობოდა მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარები. განა მოსათმენია ის, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში ამჟამად ცხენოსნობა მთლიანად მოისპო!

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ვ. მაცკევიჩი ჟურნალ „კონევოდსტვოში" წერდა: „ყოვლად მოუთმენელია, რომ მრავალი მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მათ შორის ბელორუსიისა, უპასუხისმგებლოდ ეკიდება იპოდრომის მშენებლობის საქმეს". წერილში შემდგომ ლაპარაკია იმაზე, რომ მინსკის იპოდრომის მშენებლობაზე დაიხარჯა 1 მილიონზე მეტი მანეთი და მშენებლობა შეჩერდა. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის იპოდრომის მშენებლობაზეც. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დიდი თანხა დახარჯა დელისის იპოდრომის მოსაწყობად, მაგრამ მისი მშენებლობა დაუშვებლად ჭიანურდება და როდის დამთავრდება, ძნელი სათქმელია.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ როგორ სჭირდებათ ჩვენს სპორტსმენებს საცხენოსნო სკოლა და იპოდრომი. აქ შეიძლება მოეწყოს ცხენების გამოფენა, იპოდრომი ჭირდება მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, აქ უნდა წარმოებდეს მრავალი სახის ექსპერიმენტული მუშაობა ცხენებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს პრესაში იშვიათად და ისიც ძუნწად შუქდება საცხენოსნო სპორტი, არ ქვეყნდება მეთოდური და სხვა ხასიათის წერილები.

ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად სასარგებლო და საჭიროა საცხენოსნო სპორტი, ზედმეტია. მან ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის სხვა სახეობებთან ერთად უნდა დაიკავოს წამყვანი ადგილი. საამისოდ ჩვენ ყველა პირობა გვაქვს.

გ. გრანდილევსკი,
რესპუბლიკური საცხენოსნო სექციის წევრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

„დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივში

მრავალი ათასი ფეხბურთის მოყვარული იმის მოწმე იყო, თუ როგორ უდიერად დაარღვია საბჭოთა სპორტსმენის მაღალი ეთიკა და უხეშად მოეპყრო სპორტულ მეტოქეს „ა" კლასის ოსტატთა კალენდარულ მატჩში თბილისის „დინამოს" გუნდის წევრი ვ. ელოშვილი. ეს ინციდენტი ფართო საზოგადოებრიობის გაკიცხვის საგნად იქცა.

ვ. ელოშვილმა სერიოზული ანალიზი გაუკეთა თავის საქციელს. მან სრული პასუხისმგებლობით შეიგრძნო თავისი დანაშაული მოწინააღმდეგის, აღმზრდელი კოლექტივისა და მაყურებელთა წინაშე და წერილით მიმართა „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივს, სპორტსაზოგადოების პრეზიდიუმსა და ფეხბურთის რესპუბლიკურ სექციას.

გუშინ შედგა „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის საერთო კრება, რომელმაც განიხილა ვ. ელოშვილის თხოვნა მისი გუნდში აღდგენის შესახებ. კრების თავმჯდომარემ სპორტის ოსტატმა კ. გაგნიძემ სიტყვა მისცა ელოშვილს:

— მე სრული სიცხადით შევიგრძენი ჩემი დანაშაული გუნდისა და მაყურებელთა წინაშე, საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელი უხეშობა, რომელიც მე ჩავიდინე კიევის „დინამოსთან" თამაშში, მძიმე ლაქად დაეტყო ჩემს სპორტულ მოღვაწეობას. ჩემი კოლექტივის, მატჩზე დამსწრე მაყურებელთა და სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე ბოდიშს ვიხდი, პატიოსან სიტყვას ვდებ, რომ მომავალში სანიმუშო მაგალითის მიმცემი ვიქნები ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის. გთხოვთ მიმიღოთ კვლავ გუნდში და საშუალება მომცეთ განვაგრძო თამაში.

სიტყვებით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. მარღანია, გ. ანთაძე, ა. ღოღობერიძე, გუნდის მწვრთნელი გ. გაგუა. მათ აღნიშნეს ელოშვილის შეუფერებელი საქციელი, მაგრამ ვინაიდან მან შეიგრძნო თავისი დანაშაულის სიმძიმე და მოინანია იგი შეიძლება კვლავ იქნას მიღებული გუნდში და დაერთოს თამაშის უფლება.

კრებამ დააკმაყოფილა ვ. ელოშვილის განცხადება და შუამდგომლობა აღძრა ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმის წინაშე მისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნის შესახებ.

14 ოსტატის მონაწილეობით

ცაკის პარკში ჩრდილებს თავშეფარებულთა ყურადღება მიიპყრო თოფის უეცარმა გასროლამ. სროლა ორჯერ, სამჯერ, ათჯერ განმეორდა. ყველა დაინტერესდა თუ რა ხდებოდა.

— რამ შეგაშფოთათ, სროლის ხმა „მონკავშირის" სტენდიდან მოდის, — თქვა იქვე მდგომმა მეზალემ.

ახალგაზრდების ერთი ნაწილი სტენდისაკენ გაემართა.

„რესპუბლიკური პირველობის გათამაშებაში მონაწილეობენ აფხაზეთის, მახარაძის, თბილისის „მონკავშირის" I და II, „ლოკომოტივის", ამიერკავკასიის სამხედრო-სამონადირო კავშირისა და სხვა გუნდები..." იუწყებოდა შესავალთან გაკრული აფიშა.

ამ საინტერესო შეჯიბრების 45-მდე მონაწილიდან 14 სპორტის ოსტატი და 11 პირველთანრიგოსანია.

...ბოძებზე შემდგარ ჯიხურთან ექვსი სპორტსმენი ერთი მეორის მიყოლებით დგას. ერთ-ერთი საბრძოლო პოზიციაზე მივიდა, თოფი მომარჯვა და დაიძახა: „მოიტა!" და სხვადასხვა მხრიდან ერთდროულად ორი სამიზნე ამოფრინდა. ზედიზედ გავარდა თოფის ორივე ლულიდან ცეცხლის ენები და ორივე სამიზნე დაიმსხვრა. ეს იყო სპორტის ოსტატ პ. სარქისოვის პირველი სერიის უკანასკნელი გასროლა მრგვალ სტენდზე. პირველ სერიაში ვერავინ შეძლო მისი შედეგის (25-დან 24) გაუმჯობესება. მას ერთი-ორი ქულით ჩამორჩებოდნენ სპორტის ოსტატები გ. რატიმოვი, ზ. მაჩხანელი, ბ. ოსიპოვი, ბ. გობარევი და ბ. ანტონოვი. ყველას აინტერესებდა შეძლებდა თუ არა ვინმე გაესწრო სარქისოვისათვის.

მეორე სერიაში (25 სამიზნე) ახალგაზრდულმა ძალამ და ენერგიამ თავისი გაიტანა, სპორტის ოსტატმა, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა ზ. მაჩხანელმა მხოლოდ ერთ სამიზნეს დააცილა და ორი სერიის ჯამში 46 სამიზნე დააზიანა. პირველ სერიაში გამარჯვებულ პ. სარქისოვის ჯერიც დადგა. მაგრამ ვერც მან შეძლო გადაელახა ეს ზღვარი.

— 25-დან 19. — გამოაცხადა მსაჯმა სარქისოვის მეორე სერიის შედეგი.

პირველ დღეს გამარჯვებულ თორმეტ მონაწილეს უფლება ეძლეოდა მეორე დღეს განეგრძო ბრძოლა პირადი პირველობის ფინალში. მაჩხანელმა ორი სერიის ჯამში წინა დღის შედეგი, ერთი სამიზნის დაზიანებით გააუმჯობესა (1 სერიაში — 24, მეორეში 23 დააზიანა) 100-დან 93-ის დამსხვრევით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. გობარევი (91), ბ. ანტონოვს კი მესამე ადგილი დარჩა.

ამ დღეს ჩატარდა პირადი პირველობა მისვლით სროლაში. შეჯიბრება სროლის ამ სახეობაში შედარებით ძნელია. მონაწილე ცეცხლის ხაზს უახლოვდება რამდენიმე მეტრიდან. მონაწილის შეუმჩნევლად მიცემულ მსაჯის ნიშანზე ამოფრინდება სამიზნე. ეს მონაწილეს აიძულებს ესროლოს ყოველგვარი მდგომარეობიდან. სპორტის ოსტატმა დ. ცაგარეიშვილმა 50-დან 42 სამიზნე დააზიანა. ზ. მაჩხანელი გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა. მესამეზეა პირველთანრიგოსანი კ. გურგენიძე.

წყვილ სამიზნეზე („დუბლეტი") სროლაში მონაწილემ წყვილად აფრენილ სამიზნეებიდან ორივე უნდა დაამსხვრიოს (ერთის გატეხვა ჩათვლაში არ შედის). შეჯიბრების მონაწილეებს უნდა ესროლათ 25 წყვილ სამიზნისათვის (I სერიაში 15). ზ. მაჩხანელი შეჯიბრებაზე დაშვებულ იქნა კონკურსგარეშე. პირველი სერიის (15 წყვილი გასროლა) შემდეგ წინ იყო სპორტის ოსტატი ა. ოვსეპიანი (აფხაზეთი). მან თერთმეტი „დუბლეტის" დაზიანება შეძლო. ამდენივე დააზიანა ზ. მაჩხანელმა. დაიწყო მეორე სერია. ა. ოვსეპიანმა, ბ. ანტონოვმა, გ. რატიმოვმა და მ. კუროჩკინმა ორი სერიის ჯამში 16-16 წყვილი დააზიანეს.

— I, II, III ადგილისათვის ხელახლა უნდა ვესროლოთ! — ასე ფიქრობდნენ გამარჯვებულები, მაგრამ მათი მოლოდინი მთლიანად როდი გამართლდა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნავთობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა, ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა ი. საგანელიძემ, რომელსაც პირველ სერიაში 8 წყვილი ჰქონდა დაზიანებული, მეორე სერიაში პირველივეს დააცილა. კუროჩკინმა კიდევაც შენიშნა: იურიმ გამარჯვებისათვის ყველა 9 წყვილი უნდა გატეხოსო და მართლაც არც ერთ სამიზნეს აღარ აცდენია მის მიერ ნასროლი.

ამ დღეს ჩატარდა ქალთა შეჯიბრება მრგვალ სტენდზე. გამარჯვება წილად ხვდა „მონკავშირის" წარმომადგენელს ე. მელიქიშვილს.

შეჯიბრება დამთავრდება დღეს.

ო. გელაშვილი

• • •

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული ე. მელიქიშვილი (მარცხნივ) და ი. საგანელიძე.

ჩემპიონის სახელისათვის

საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში

სურათზე: თბილისის „დინამოსა" და ცდსა-ს შეხვედრის მომენტი.

მესამე დღე

პირველობის მესამე ტური საბედისწერო გამოდგა ბევრი გუნდისათვის. ცვლილებები იქნა შეტანილი ლიდერთა განლაგებაშიც. ამ დღეს ყურადღების ცენტრში იყო ორი უძლიერესი გუნდის თბილისის „დინამოს" და მოსკოვის ცდსა-ს თამაში.

...გუნდები მოედანზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: ქორქია, ჯორჯიკია, ქლენტი, აბაშიძე, ინწკირველი. ცდსას რიგებში იყვნენ [illegible], ანტონოვი, კაზაკოვი, მოისეევი, სილინში.

ანგარიში გახსნეს არმიელებმა. კალათში ზუსტი სროლებით მათ ერთ ხანს მიჰყავთ ანგარიში. მოსკოველთა შორის ძლიერი თამაშით გამოირჩეოდნენ მოისეევი და ანტონოვი. პირველი რამდენიმე ოსტატური სროლით შორიდან ათავსებს ბურთს თბილისელთა კალათში, ხოლო ანტონოვი აქტიურად გადის „დინამოს" ფარქვეშ. მოისეევის „დაჭერას" თბილისელები ანდობენ ჯორჯიკიას. იგი ეფექტურად ახერხებს ამ საშიში თავდამსხმელის თამაშიდან გამოთიშვას. მოსკოველებისათვის, როგორც ყოველთვის პრობლემა იყო ქორქიას იერიშების უვნებელყოფა. ბევრ უსიამოვნებას აყენებდა ცდსას მცველებს აბაშიძეც. ისევე როგორც წინად, არმიელებს ახლაც უჭირთ ქლენტისა და ინწკირველის ელვისებური გასვლების შეჩერება. ყველაფერი ეს თბილისის „დინამოს" საშუალებას აძლევს ჯერ გაათანაბროს ანგარიში, ხოლო შემდეგ წინ წავიდეს. შესვენებისათვის დინამოელები წინ იყვნენ 7 ქულით მაგრამ კაზაკოვის შორი მანძილიდან ნასროლი 3 ბურთი ანგარიშში განსხვავებას ამცირებს. პირველი ნახევარი მთავრდება თბილისელთა სასარგებლოდ — 38:37.

მეორე ნახევარში დაძაბულობა კიდევ უფრო მატულობს. მოედანს სტოვებენ ანტონოვი, სემიონოვი, ჯორჯიკია. თბილისელებს კვლავ გამოყავთ აბაშიძე, რომელიც პირველ ტაიმში შეცვალა კილაძემ. არმიელთა შორის თამაშში ებმებიან კონევი და ახალგაზრდა ტიურინი. დინამოელთა თამაშს მეტი გააზრება და ტაქტიკური სიმწიფე ეტყობა. მათ დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 65:62.

ტალინის „კალევმა" დაამარცხა რიგის „სპარტაკი" — 87:73. მოსკოვის „დინამომ" მოიპოვა პირველი გამარჯვება დედაქალაქის „სპარტაკთან" შეხვედრაში — 70:63. რიგის ოფიცერთა სახლმა დიდი ანგარიშით დაამარცხა კლაიპედის „ჟალგირისი" — 93:66.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა კაუნასის „ჟალგირისმა" დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა კიევის სპორტსმენები — 71:65. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტველებმა მატჩი მოიგეს უკანასკნელ წუთებში.

წარმატებით გამოდის კიევში თბილისის „ნაუკის" ქალთა ახალგაზრდული კოლექტივი. მესამე ტურში თბილისელი სპორტსმენები შეხვდნენ ტარტუს უსკ-ას. თბილისელებმა თამაში დაიწყეს შემდეგი შემადგენლობით: ახტაშვილი, გრიგოლაშვილი, ტოტიაშვილი, გნიოტოვა და შეპილოვა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს კარგად იცნობენ. ისინი არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. ორივე გუნდს ჰყავს ძლიერი ცენტრალური თავდამსხმელები თბილისს — გნიოტოვა, ესტონელებს — ოტსა. ამჯერად მეორე „ცენტრის მოთამაშის" შეპილოვას გამოსვლამ ტარტუს კალათბურთელთა რიგებში არევ-დარევა შეიტანა. პირველსავე წუთებიდან გნიოტოვას ზუსტ სროლებს გუნდი გაყავს წინ და ტარტუს კალათბურთელთა მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად ინიციატივა მთლიანად „ნაუკის" კალათბურთელთა ხელში გადადის. პირველი ნახევარი მთავრდება 27:17 თბილისელთა სასარგებლოდ. მეორე ნახევარში „ნაუკის" კალათბურთელები კიდევ უფრო აქტიურად თამაშობენ და ანგარიშში განსხვავებასაც ზრდიან. საბოლოო შედეგით 56:39 თბილისელებმა მიაღწიეს მეტად საჭირო გამარჯვებას. გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებული კარგი თამაშით გამოირჩეოდა გნიოტოვა, რომელმაც თავის გუნდს 35 ქულა მისცა.

ქალთა გუნდების დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: მაი (მოსკოვი) — „სტროიტელი" (მოსკოვი)—69:40; „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „მედიკი" (ერევანი) — 81:58; „დინამო" (მოსკოვი) — „დაუგავა" (რიგა) — 77:44; „ისკრა" (ლენინგრადი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) — 54:45.

მეოთხე დღე

ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა გუნდი, რაგინდ სუსტი არ უნდა იყოს, მონდომებითა და ენერგიულად თამაშობს. ეს უკვე წესად შემოვიდა. რიგის „სპარტაკმა", მიუხედავად იმისა, რომ თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ შეხვედრაში მოგების თითქმის არავითარი შანსი არ ჰქონდა, თამაში მტკიცე გადაწყვეტილებით დაიწყო. მისთვის საჭირო იყო წაგება რაც შეიძლება პატარა ანგარიშით (კალათბურთში თუ გუნდებმა ერთნაირი ქულები დააგროვეს, ადგილები განაწილდება გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით). ამასთან თითქმის ყველა ბალტიისპირეთის გუნდს (გარდა კაუნასის „ჟალგირისისა") ახასიათებს თამაშის ნელი ტემპი და კალათში მხოლოდ ნაღდი შესაძლებლობიდან სროლა. ამან რასაკვირველია დინამოელებს არ მისცა საშუალება ეთამაშათ მათთვის ჩვეულ ტემპში. თბილისის „დინამომ" მოიგო შეხვედრა — 53:43. კიევის ოფიცერთა სახლის გუნდმა დამარცხა კლაიპედის „ჟალგირისი" — 51:49. მოსკოვის „დინამომ" მოუგო ტალინის „კალევს"—76:56. ცდსა-მ მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე გაინაღდა მოგება რიგის ოფიცერთა სახლის გუნდთან შეხვედრაში — 66:62. მცირე უპირატესობით — 42:40 დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისმა" მოსკოვის „სპარტაკი".

არავინ არ მოელოდა თუ თბილისის „ნაუკა" ასეთ წინააღმდეგობას გაუწევდა მოსკოვის „დინამოს" ქალთა გუნდს, რომლის თითქმის ყველა წევრი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაშია. გასული წლის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ" გაიმარჯვა—41:36. ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა უკანასკნელ წუთებში. ქალთა გუნდების დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „უსკ" (ტარტუ) — „სტროიტელი" (მოსკოვი) — 63:53; „ჟალგირისი" (კაუნასი) — „მედიკი" (ერევანი) — 46:36; „დაუგავა" (რიგა)—„ისკრა" (ლენინგრადი) — 52:46; მაი (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)—73:51.

ჯ. ნიჟარაძე,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

გუშინ ღამით რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა კიევს. თბილისის „დინამოს" კაპიტანმა ო. ქორქიამ გვაცნობა, რომ დინამოელები შეხვდნენ კიევის ოფიცერთა სახლის გუნდს. კიეველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ლიდერს, მაგრამ დინამოელებმა მაინც სძლიეს მეტოქეს — 49:44.

ქალთა შეხვედრებში თბილისის „ნაუკამ" დაამარცხა ერევნის „მედიკი" ანგარიშით 41:33.

აქტივი გამოყენებული არ არის

რა აფერხებს ნიშნოსნების მომზადებას სიღნაღის რაიონში

...ბოლოს, როგორც იქნა ახალგაზრდებმა საწადელს მიაღწიეს, წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ თანხა გამოყო სპორტული მოედნების მოსაწყობად. თითქმის ერთ თვეს მუშაობდნენ ზედაპირის მოსწორებაზე. მტს-ის მექანიზატორთა დახმარებით მოსწორდა ბორცვები, შეივსო დაბლობები. აღმართეს კალათბურთის ფარები. მოეწყო დაბრკოლებათა ზოლი. სარბენი ბილიკები, ფეხბურთის მოედანი.

— ახლა კი გვეშველა, სპორტული სექციები ამოქმედდებიან, — ფიქრობდნენ კოლმეურნე ფიზკულტურელები.

მაგრამ იმედი მალე გაუცრუვდათ. ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის თავმჯდომარე ვ ბაგალიშვილი უინტერესოდ, უინიციატივოდ შეხვდა ახალგაზრდების თაოსნობას. კოლმეურნეობის გამგეობამ სპორტული სექციების სახელმძღვანელოდ სპეციალურად მოიწვია მწვრთნელი ნ. ყარალაშვილი, რომელსაც საკმაო ხელფასი დაუნიშნა. პირველ ხანებში იგი თითქოს დაინტერესდა კოლმეურნე ახალგაზრდობის სპორტული აღზრდით, რამდენიმე საწვრთნელი ვარჯიშიც მოაწყო, მაგრამ მალე ბედის ანაბარად მიატოვა სპორტსმენებიც და სპორტული სექციებიც. გაზაფხულის აქეთ ის ბუხჰალტერიის გარდა, სადაც ხელფასის ასაღებად მოდის, არავის უნახავს.

ფიზკულტურული მუშაობა ჩაკვდა, ხოლო მშვენივრად მოწყობილი სპორტული მოედანი ეკლიანი ბალახით დაიფარა და პირუტყვის სათარეშოდ გადაიქცა. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ წელს კოლმეურნეობაში არც-ერთი ნიშნოსანი და თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ.

ერთ დროს კოლმეურნეობაში ჩქეფდა სპორტული მუშაობა. აქ აღიზარდა მრავალი ისეთი სპორტსმენი, რომლებმაც შემდეგ რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც ისახელეს თავი. ცნობილი ცხენოსანი ფ. მჭედლიშვილი კოლმეურნეობის ფერმის გამგედ მუშაობს. საუკეთესო სპორტსმენები ცაცო და ილია კუტიბაშვილები მზად არიან დახმარება გაუწიონ ახალგაზრდებს სპორტულ აღზრდაში, მაგრამ ფიზკულტურის ძირეული კოლექტივი რატომღაც გაურბის აქტივს და არც თვითონ იღებს ზომებს ჩაშლილი საქმის გამოსასწორებლად.

წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის მაგალითი დამახასიათებელია სიღნაღის რაიონის სხვა ფიზკულტურული კოლექტივებისთვისაც.

ნუკრიანის კოლმეურნეობის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივთან (თავმჯდომარე გ ნადირაშვილი) [illegible]ბობდა სპორტული სექციები. კანტორის ეზოში ახალგაზრდებმა ფეხბურთის მოედანიც მოაწყეს, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. ჩერქეზიშვილის განკარგულებით ძელები ამოყარეს და ფეხბურთელებს აუკრძალეს სპორტული წვრთნა. ამის შემდეგ სექციამ მუშაობა შეწყვიტა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ჩერქეზიშვილი ყოფილი ფიზკულტურული მუშაკი, კარგა ხანს მუშაობდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ. მიუხედავად ამისა იგი ყოველნაირად უშლის ხელს ახალგაზრდობის სპორტულ დაოსტატებას. აქედან ცხადია რა მდგომარეობა იქნება სხვა კოლმეურნეობებში, რომელთა ხელმძღვანელობას ერთ ნაწილს ფიზკულტურის როლზე ნათელი წარმოდგენაც კი არ გააჩნია.

ამ ფაქტს გულისტკივილით აღნიშნავს „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე თ. ბეჟაშვილი, რომელიც თავის მხრივ ცოტას აკეთებს სპორტის მასობრიობისათვის. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის მდგომარეობა, რამაც ჩაშლამდე მიიყვანა თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადება. წელს სპორტსაზოგადოების ხაზით 234 ნიშნოსანი და 33 თანრიგოსანი უნდა მომზადებულიყო. ფაქტიურად მომზადებულია მხოლოდ 61 ნიშნოსანი და 3 თანრიგოსანი. ნაკლოვანებები ამ მხრივ ძირითადად ძირეულ კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობის მოდუნებით არის გამოწვეული.

ხელმძღვანელობისა და კონტროლის შესუსტების გამო ბევრი ადგილობრივი ფიზკულტურული მუშაკი თავს არიდებს საზოგადოებრივ დავალებას. ნუკრიანის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის დასახმარებლად გამოყოფილი ადგილობრივი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. ღვინიაშვილი ფაქტიურად არაფერს აკეთებს. ეს იციან „კოლმეურნის" რაისაბჭოში, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტშიც, მაგრამ არ სურთ აწყენინონ მას. მოუქნელად მუშაობს ჯუგაანის კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე მ. ზურაბაშვილი. ამის შესახებ იმსჯელეს კოლმეურნე სპორტსმენებმა, მოითხოვეს მისი შეცვლა და „კოლმეურნის" რაისაბჭოდან დახმარება, მაგრამ ახალგაზრდების კანონიერი მოთხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი (თავმჯდომარე ვ. ყაჯრიშვილი) რომ მეტ თაოსნობას იჩენდეს, სამარცხვინო გარღვევას ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში ადგილი არ ექნებოდა.

გ. ჯანდიერი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გაზეთ „ლელოს" 18 ივნისის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი „მეთევზეთა ხიზნები", რომელშიც ლაპარაკი იყო ქობულეთის სპორტსკოლის შენობის სავალალო მდგომარეობაზე.

როგორც საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. კ. ლომაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიმდინარეობს შენობის რეკონსტრუქცია, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს სპორტსკოლის მოთხოვნებს.

*

„სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ მოკრივეთა 1954 წლის პირად-გუნდური პირველობა თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე მოეწყო.

უმჩატესი წონის ფინალში მ. კვირკველიამ (საქართველო) დაამარცხა ფ. სხიტნევი (რსფსრ) და ჩემპიონობა მოიპოვა.

მჩატე წონაში პირველობისათვის რვა მოკრივე იბრძოდა. ფინალში კი მხოლოდ რსფსრ-ს I და II გუნდის წარმომადგენლები ვ. შიპულინი და ი. ბისიუკი გავიდნენ. ჩემპიონი გახდა შიპულინი, საქართველოს წარმომადგენელს თ. ჩინჩალაძეს მიეკუთვნა მესამე საპრიზო ადგილი.

აღსანიშნავია, რომ როგორც ქვემსუბუქ, ისე მეორე ქვესაშუალო წონითი კატეგორიის მოკრივეთა ფინალში მონაწილეობის უფლება მხოლოდ საქართველოს წარმომადგენლებმა ზ. თარგამაძემ (პირადი), ს. ბახლაძემ, ს. კოვერმანმა (პირადი) და რ. ნამიჩეიშვილმა მოიპოვეს. ქვემსუბუქ წონაში ს. ბახლაძემ სძლია ზ. თარგამაძეს. მეორე ქვესაშუალო წონაში ს. კოვერმანმა წააგო რ. ნამიჩეიშვილთან.



მსუბუქ წონაში ჩემპიონი გახდა ვ. კუპრიანოვი (ლენინგრადი). პირველ ქვესაშუალო წონის მოკრივეთა შორის ლენინგრადელმა ე. დავიდოვიჩმა ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ვ. შარაბიძე, რომელმაც მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო, მესამე ადგილზე გამოვიდა.

ა. იზრაელაშვილმა ნახევარფინალში მოუგო მოსკოველ ი. გოლუბს, ხოლო ფინალში დამარცხდა უკრაინელ ი. მუხლინინთან პირველ საშუალო წონაში. მეორე საშუალო წონაში პირველი იყო მოსკოველი ა. ეკოტინი, რომელმაც ფინალში მოუგო ვ. მალაკოვსკის (ლენინგრადი). აზერბაიჯანელი ვ. იუსუფოვი მესამე ადგილზე გამოვიდა. ქვემძიმე წონაში ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი გ. ერიომენკო.

გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნა მოსკოვს, მეორე — ლენინგრადს და მესამე — რსფსრ-ს გუნდს.

• • •

სურათზე: შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშათა შორის პოპულარობით სარგებლობს საწყლოსნო სპორტი. ქარხნის ეზოში მოწყობილია საცურაო აუზი 10 მეტრიანი კოშკურითა და ტრამპლინით.

სურათზე: ქარხნის სპორტსმენები მორიგ მეცადინეობაზე წყალში ხტომაში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.
საქდესის ფოტოქრონიკა

★

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

დაძაბულ ბრძოლაში

დაიწყო სსრ კავშირის 1954 წლის თასის გათამაშების II ეტაპი, რომელშიც მონაწილეობენ „ბ“ კლასის 36 გუნდი და მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის თასში გამარჯვებულები.

25 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა მატჩი თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდსა და საქართველოს თასის მფლობელს — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდს შორის.

თამაში მეტად საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. პირველი ურთიერთ შეტევების შემდეგ არმიელთა კართან მეტად სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა. ნახევარმცველმა ტაბიძემ მარჯვენა მხრიდან კარგად ჩააწოდა კარის წინ, მაგრამ მისი პარტნიორებიდან არავინ არ გავიდა ბურთზე. სულ ცოტა ხანში უკვე ტრამვაელები იყვნენ საფრთხის წინაშე, მაგრამ კოვერზნევის ორი დარტყმიდან ერთი აცდა კარს, ხოლო მეორე მეკარე ქაცარავამ დაიჭირა.

ანგარიში გაიხსნა 44-ე წუთზე. ტრამვაელთა ნახევარზე აკრძალული ილეთით წაქცეულ იქნა ხუნდაძე და კოვერზნევმა დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან დაარტყა საჯარიმო. ბურთი ზედა ძელთან გავიდა კარში — 1:0.

თამაშის მეორე ნახევარი არმიელთა მედგარი იერიშებით დაიწყო. ხურციძის გადაცემის შემდეგ ხუნდაძე პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ კარში დარტყმის ნაცვლად მარჯვნივ გადააწოდა, ზედიზედ დაკარგეს გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა პოდლესნიმ, ნორაკიძემ, ხოლო ტრამვაელთა ცენტრალურმა მცველმა ტომარაძემ ბურთს ერთხელ ზედ კარის ხაზზე მოუსწრო.

შემდგომში თამაში გათანაბრდა და მალე ტტს-ის თავდამსხმელები გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის კართან. ჯერ სამსონიძემ, ბურჭულაძემ და პეტროსოვმა გაარღვიეს დაცვის ხაზი და ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან ააცილა კარს, მერე გაბილაიამ კარგი მდგომარეობიდან თავით არაზუსტად დაარტყა, ერთხელ კი მათევოსიანმა ბურჭულაძეს უკანასკნელ წამს ააცალა ბურთი ფეხიდან.

თამაშის დასასრულს ტრამვაელთა საჯარიმო მოედანზე ნორაკიძემ სამჯერ ზედიზედ გაიყვანა კოვერზნევი, მაგრამ უშედეგოდ. გონგის შემდეგ ტტს-ი გაერთო შეტევით, დაცვაში შეასუსტა ყურადღება და ნორაკიძემ მეორე ბურთი გაიტანა.

ანგარიშით 2:0 გამარჯვება მოიპოვა ოფიცერთა სახლის გუნდმა.

ვ. ხეცურიანი

საერთაშორისო შეხვედრა

მოსკოვი (ნაკრები) — ვარშავა (ნაკრები)

27 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე შედგა მოსკოვისა და ვარშავის ნაკრები გუნდების განმეორებითი მატჩი (პირველი შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 3:1).

ანგარიში თამაშის მე-13 წუთზე გახსნა სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ციზლიკმა. ცოტა ხანში ვარშაველთა მარცხენა შუამარბმა ბრიხციმ მეორე ბურთი გაიტანა. დარჩენილ დროში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის შეცვლა. აღსანიშნავია, რომ მოსკოველმა დემენტიევმა ვერ გაიტანა 11-მეტრიანი საჯარიმოც კი.

ვარშავის ფეხბურთელებმა მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 2:0.

„ა“ კლასის ოსტატთა შეხვედრები

„ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „სპარტაკი“ (მინსკი)

27 აგვისტოს ხარკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და მინსკის „სპარტაკი“.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მინსკელებმა.

• • •

ცდსა — „დინამო“ (კიევი)

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ ცდსა და კიევის „დინამო“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

გათამაშების ცხრილი „ა“ კლასი

მდგომარეობა 29 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ მნ.	23	12	6	5	28:21	30
„დინამო“ მ.	21	12	5	4	36:16	29
„სპარტაკი“ მ.	19	11	2	6	39:21	24
„შრ. რეზერვ“.	22	8	8	6	27:23	24
„დინამო“ კ.	22	8	8	6	28:26	24
„დინამო“ თბ.	24	9	5	10	38:47	23
ცდსა	22	7	8	7	29:25	22
„ლოკომოტ“ მ.	23	7	7	9	19:18	21
„ტორპედო“ მ.	22	8	5	9	32:31	21
„კრ. სოვეტ“.	23	7	6	10	19:25	20
„ზენიტი“	21	6	7	8	21:25	19
„ლოკომოტ“. ხ.	23	6	5	12	18:36	17
„ტორპედო“. გ.	23	3	8	12	17:37	14

ჩვა დღე ინგლისში

საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოჭადრაკეთა მეგობრულ კავშირს კარგა ხნის ისტორია აქვს. ამ ქვეყნების გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 1946-47 წლებში ინგლისელებმა დამარცხება განიცადეს, მაგრამ ისინი მაინც არ კარგავდნენ რევანშის აღების ან უკეთესი შედეგის მიღწევის იმედს.

ინგლისის საჭადრაკო ფედერაციამ გვთხოვა ნიუ-იორკიდან ლონდონს გვწვეოდით. 30 ივნისს ინგლისის საჭადრაკო საზოგადოებრიობამ საბჭოთა დელეგაციას გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

ბევრი ცნობისმოყვარე თავს იყრის ბუკინჰემის სასახლის წინ, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედოფლის რეზიდენციაა. საკვირველ ანაქრონიზმად გეჩვენებათ აქ მუქწითელ ჭულაჯებში და თავებზე ჩამოფხატული ნახევარმეტრიანი ბეწვის ქუდებით მორთული გვარდიელები. ამ საპატიო ყარაულთა გამოცვლა ხდება რიტუალით, რომელიც დადგენილია, ალბათ, ასი წლის და უფრო მეტი ხნის წინათ. მეფის გვარდიელები პოსტზე უძრავად დგანან მაშინაც, როცა ზოგიერთი ექსპანსიური ამერიკელი ტურისტი მათთან მიირბენს, მოეხვევა და სურათებს იღებს.

ლონდონის ცენტრი პიკადილი-ცირკუსია. აქ ბევრია კინოთეატრი, რესტორანი, კაბარე. თვალისმომჭრელი რეკლამები თითქოს ბროდვეიდან ჩამოუტანიათო. დიდი შენობის მთელი კედლის გასწვრივ გაკრულია სასმელის „კოკა-კოლას“ ყბადაღებული რეკლამა.

ჩვენ გავჩერდით ჰაიდ-პარკთან მდებარე პატარა სასტუმროში. აქ ყველაფერს სიძველის იერი აკრავს. დილით მდიდარი არისტოკრატული ოჯახების წევრები ცხენებით სეირნობენ. აუზებში არა მარტო ბავშვები, არამედ მოზრდილი უსაქმურნიც სათამაშო ნავებს უშვებენ, ბალახს ძოვენ ცხვრები... აქ არის სიახლე: ჯარიმდება ჰაიდ-პარკის ის სტუმარი, რომელიც პარკში დადგმულ შეზლონგში გაუფრთხილებლად ჩაჯდება.

3 ივლისს კექსტონ-ჰოლის შენობაში მოხდა საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის საჭადრაკო მატჩის საზეიმო გახსნა. ინგლისელთა გუნდის კაპიტანი, საერთაშორისო ოსტატი გოლომბეკი გულთბილად მიესალმა ჩვენს დელეგაციას. საპასუხო სიტყვაში გროსმაისტერმა კერესმა მადლობა გადაუხადა ინგლისელ მოჭადრაკეებს და საკავშირო საჭადრაკო სექციის სახელით მათ გადასცა „მეგობრობის თასი“. შემდეგ ბრძოლა დაიწყო ათ დაფაზე.

ინგლისელებმა გამოიყვანეს საუკეთესო შემადგენლობა. მათ გუნდში გამოცდილი ოსტატების ალექსანდერის, გოლომბეკის, ვეიდის, მილნერ-ბერისა და ფაიჰერსტის გარდა თამაშობდნენ ბროდბენტი, აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეები პენროუზი და ბარდენი, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ უკანასკნელ შეჯიბრებაში. დიდი ინტერესი გამოიწვია ძლიერი მოჭადრაკე ქალების შეხვედრამ.

მაგრამ უკვე ბრძოლის პირველმა საათებმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა გუნდის ყველა წევრი კარგ სპორტულ ფორმაში იყო. მალე ფიქსირებული იყო პირველი შედეგები. პეტროსიანმა პოზიციურ სტილში გაიმარჯვა მილნერ-ბერისთან, ხოლო ბიკოვამ და ზვორიკინამ დაამარცხეს ტრემმერი და სანოკსი.

გადადებულ პარტიებში შესაძლებელი შედეგების ჩათვლით, პირველი დღის ანგარიში მოსალოდნელი იყო 10:0! წარმოუდგენელი შედეგია საერთაშორისო მატჩისათვის. მეორე დღეს გაზეთებმა ჩვენს შეხვედრას რამდენიმე სტრიქონი დაუთმეს. აბა რა უნდა დაეწერათ?

მეორე ტურში ინგლისელებმა ვერ შეძლეს, ვერც ერთი პარტიის მოგება, მხოლოდ ალექსანდერმა, ფაიჰერსტმა და სანოკსმა ყაიმით დაამთავრეს თავიანთი შეხვედრები. მატჩის შედეგმა (18,5:1,5) ჩვეულებრივად გულცივ და თავშეკავებულ ინგლისელებშიც კი აღფრთოვანება გამოიწვია.

ალექსანდერი მატჩის დამთავრების შემდეგ წერდა, რომ „საბჭოთა გუნდი შესანიშნავია“. იგი შედგება ისეთი მოჭადრაკეებისაგან, რომელთა ტოლი ალიოხინის, ლასკერისა და კაპაბლანკას გამოკლებით, არ ყოფილან ჭადრაკის ისტორიაში“.

ინგლისის საჭადრაკო ფედერაციამ ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად სადილი გამართა, რომელსაც დაესწრო საბჭოთა [illegible] ინგლისში ი. ა. [illegible] მოეწყო რესტორან „სიმპსონში“, რომლის ემბლემაზე გამოსახულია საჭადრაკო დაფა. ეს შემთხვევითი როდია. აქ თავის დროზე თამაშობდნენ მორფი, ანდერსენი, სტეინიცი და გასული საუკუნის სხვა შესანიშნავი მოჭადრაკე. ჩვენთვის ძვირფასი იყო რუსული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებლის მ. ჩიგორინის პორტრეტის ნახვა. აქ შენახულია დაფა და ფიგურებიც, რომლითაც ჩიგორინს უთამაშია.

დაგვამახსოვრდა ვესტმინსტერის სააბატოს ნახვა. საბჭოთა მოჭადრაკეები მიიწვიეს დაეთვალიერებინათ პარლამენტის შენობა და როგორც სტუმრები, დასწრებოდნენ, თემთა პალატის სხდომას.

ვესტმინისტერის სააბატო ინგლისელების სიამაყეა. ეს შესანიშნავი გოთური სტილის ნაგებობა აშენებულია XI საუკუნეში. მის ერთ-ერთ კოშკზე — „დიდ ბენზე“ — საათია, რომლის ციფერბლატში თავისუფლად შეუძლია გაეტიოს ლონდონის ორსართულიანი ავტობუსი. მთავარი დარბაზი დიდებულია და პირქუში. მასში მომხდარა მრავალი ისტორიული ამბავი. აქ ყოფილა როგორც ლხინი, ისე საზეიმო დაკრძალვები, მეფური მიღებები და მეფეთა დასჯა. თითბრის დაფა მიუთითებს ადგილზე, სადაც კარლოს პირველს თავი მოჰკვეთეს.

მეორე დარბაზში, რომელიც ოქროს მოზაიკითაა მორთული, ჩვენ დავესწარით სპიკერის მსვლელობის ცერემონიალს. ზუსტად 14 ს[illegible] და 30 წუთზე კარებში გა[illegible]ჩნდა ფიგურა, რომელიც გვეგონებოდათ გასული საუკუნიდან მოსულაო. ძველებურად შეკერილ შავ ფრაკში, მოკლე შარვალსა და გრძელ წინდებში მორთულს ხელში ოქროს კვერთხი ეჭირა. მისი მანტიის ბოლო მოკრძალებით მოჰქონდათ ამალის წევრებს. სპიკერს თავზე ეხურა თეთრი პარიკი გრძლად დაშვებული თმებით. იგი დინჯად შევიდა სხდომათა დარბაზში და კამათი გახსნა.

გამოვიდნენ კონსერვატორთა პარტიის ლიდერები ჩერჩილი და იდენი, ლეიბორისტები ეტლი, მორისონი და ბევრი სხვა. საღამოს პარლამენტის შენობაში შედგა უჩვეულო ტურნირი.

საბჭოთა გროსმაისტერებმა ბრონშტეინმა და კერესმა ერთდროულად ითამაშეს 20 დაფაზე ინგლისის მთავრობისა და პარლამენტის წევრებთან. ეს ტურნირი დამთავრდა ანგარიშით +17—1=2 ჩვენი მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

საბჭოთა გროსმაისტერებს გულთბილად მიესალმნენ და მადლობა გადაუხადეს პენსიებისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ოსბერტ პიკმა, ლეიბორისტმა სილვერმენმა და პარლამენტის სხვა წევრებმა.

ინგლისში ჩვენ ვგრძნობდით დიდ ინტერესს საბჭოთა ქვეყნისადმი. მადლობისა და კეთილი გრძნობით დავტოვეთ ჩვენ ლონდონი, სადაც შევიძინეთ მრავალი ახალი მეგობარი.

მ. ტაიმანოვი
საერთაშორისო გროსმაისტერი,

კონკურსზე შემოსული ამოცანებიდან

ი. კრიხელი (თბილისი) და
ი. შოსტი (ცხაკაია)



თეთრები: მფa8, ეa3, ეf8, კe2, კe3, მb5, მd7 პ-ბი: c4, g3 (9)

შავები: მფe4, მd1, მf5 პ-ბი: d6, e6, g5, g4 (7)

შამათი ორ სვლაში.

• • •

მ. აზრუმელაშვილი (თბილისი)



თეთრები: მფe8, ლg1, მd8 პ-ი: h6 (4)

შავები: მფh8, კg7 პ-ბი: g2, h3, h7 (5)

შამათი სამ სვლაში.

ლაშქრობა ნინიკას ციხეზე

შავი კლდის ნაპრალების თავზე არწივის ბუდესავით წამომდგარა „ნინიკას ციხე“. მის ქვეშ სათავეს იღებს მდინარე დურუჯი. კავკასიონის ქედის ამ ძნელად მისასვლელ ადგილებს იშვიათად მონადირეები თუ მოინახულებენ.

კომკავშირის რაიკომის ინიციატივით ყვარლელმა ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს მწვერვალზე მასობრივი ლაშქრობის მოწყობა. სამოცდაათამდე ჭაბუკი და გოგონა დურუჯის ხეობით დაიძრა. საცალფეხო ბილიკზე ლაშქარი თასმასავით გაიჭიმა. წინ გამოცდილი მთასვლელები ც. ხუხიაშვილი, დ. სეფაშვილი და ს. ჩიხიაშვილი მიუძღოდნენ. შებინდებამდე მოლაშქრეები საზაფხულო იალაღებზე ავიდნენ. უკან დარჩა „აბაშის ციხე“, ყრუდ ისმოდა დურუჯის ხმაური.

მწყემსებთან მოეწყო სახელდახელო შეხვედრა. კომკავშირის ყვარლის რაიკომის მდივანი ო. სამხარაული მწყემსებს ესაუბრა საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ, მწყემსებს წაუკითხეს გაზეთები. შესვენების შემდეგ მოეწყო კონცერტი.

გათენდა. კავკასიონის ჭაღარა მწვერვალებმა ნისლი გადაიყარა. გამოჩნდა „ნინიკას ციხის“ ქონგურები. ბანაკი აიშალა. დაიწყო ძნელად სავალი გზა.

შუადღემდე მოლაშქრეები ავიდნენ მწვერვალზე, რომელიც ზღვის დონიდან 3.134 მეტრის სიმაღლეზეა. ციხის გალავანში ერთ-ერთი პირველი შევიდა ყვარლის საშუალო სკოლის მოსწავლე ლიანა თოდუა. გამძლეობა გამოიჩინეს მერი ლომიძემ, რ. შავგულიძემ და ზ. ჯორბენაძემ.

ბ. ყვარელაშვილი

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04665